

F 171
1941

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

სსიქ განათლების სახალხო
კომისარიაზე პრეზენტაცია და
გაცემულებულების

360-370

MP 8-9

፳፻፲፭፻፯፷፰፱ ፩፬፻፻፭፯

1941 6.

៩០៦១១៦៦០

- | | | | |
|---|-----|---|----|
| | 6. | ბრძანება № 4951—ეკლესიურ წამლებულ მცენ-
სარეგის შეკრებაში სკოლების მონაწილ-
ების გადაწყვეტილებები | 11 |
| 2 | 7. | ტიპური წესები—შრომითი შინაგანი წე-
სისა საქ. სსრ განაკვირდის სისტემის მა-
სობრივ ბიბლიოთეკებისათვის | 13 |
| 3 | 8. | წესება — შრომითი შინაგანი წესებისა
კაბინეტი, სისტემის მუშაობის მუშაობი-
სათვის | 17 |
| 4 | 9. | წესები — შრომითი შინაგანი წესებისა
საკუთ-
ხო კუსტორიკა, ქადაგმითხველ ერისა და
სას ფულ თ ბიბლიოთეკების მუშაობისთვის | 21 |
| 5 | 10. | ტ პირი შრომითი შინაგანი წესებისა
კაბინეტის მუშაობისთვის | 25 |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |



8 1 6 6 1 6 3 3 0 0
0 8 0 3 0 1 0 - 1941

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სახ. კომისარიას, სამს. ოცნების
აპტონ. ოლქის განათლების განეოფილების გამგეს, განათლების უცხლუა
რაიონული (საქალაქო) განეოფილების გამგეს. კართველური
სამსახურის მიერ მიერ მიერ

საქ. დაწევებითი და საუ. სკოლის მუშ. პროფესიულის უცხლუა საოლო
და რაიონული კომიტეტის თავმჯდომარებელს.

სსრკ საქონამდებოს 1941 წლ. 18 იანვარს
დამტკიცებული „სახელმწიფო განათლების, კომ-
პერატული და საზოგადოებრივ საწარმო-
თა და დაწევებულებათა მუშებისა და მო-
სამსახურებისათვის ტიპიური შინაგანაწე-
სი“-ს და აგრძელე საქ. განათლების სახალ-
ხო კომისარიატისა და დაწყებითი და სა-
შუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ცენტრ.
კომიტეტის წინა განმარტებების შესაბამი-
სად გავალებთ, საქ. დაწყ. და საშ. სკოლის
მუშ. კავშირის ც. კომიტეტის პრეზიდიუმ-
თან შეთანხმებულ, საქ. განსახომის მიერ
1939 წ. 8 მაისს დამტკიცებულ „საქ. სსრ
დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუა-
ლო სკოლის მუშაკთათვის ტიპიურ განაწეს-
ში“ შეიტანოთ შემდეგი დამატებები:

1. მე-18 წ დაემატოს მე-4 აბზაცად:

„სკოლის ყოველი მუშაკი ვალდებულია
მუშაობის დაწყებამდე და მუშობის დამ-
თვრების შემდეგ პირადად ხელის მოწე-
რით გატარდეს რეგისტრაციაში სკოლაში
ასებულ მუშაკთა სამუშაოშე გამოცხადე-
ბის და სამუშაოდან წასვლის საჩუგისტრა-
ციონ კურნალში“.

2. მე-19 წ დაემატოს შენიშვნა:

„გაკვეთილებისაგან თავისუფალი სათები
(ეგრეთ წოდებული „უანგრები“ გაკვეთი-
ლების ცხრილში), აგრძელე სკოლაში მორი-
გებობისაგან თავისუფალი ღრრ, მასწავლე-
ბელს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი შე-
ხედულებისამებრ“.

3. მე-20 წ დაემატოს შენიშვნა:

„გაკვეთილების ცხრილში შეტანილი ყო-
ვლი ცელილების შესახებ წინასწარ უნდა
ეცხობოს მასწავლებელს ხელისმოწერის
ქვეშ“.

4. მე-61 წ დაემატოს მეორე შენიშვნა:

„დაუშევებულია სკოლის აღმინისტრაციის

მიერ სასკელის დადება ჩადენილი დანაშაუ-
ლის გამომეტავნების დღიდან ერთი თვეს
გასვლის შემდეგ“.

5. მე-61 წ შემდეგ დაემატოს:

„თუ სასკელის დადების, გაფრთხილების,
საყვედურის ან სასტრიკი საყვედურის გამო-
ცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობა-
ში მასწავლებელმა ან სკოლის სხვა მუშაკმა
არ დაუშვა შრომის დისციპლინის ახალი
დარღვევა, მაშინ სკოლის დირექტორი (გა-
ვგ) ხსნის მის მიერ დადებულ სასჯელს. თუ
მუშამ ან მოსამსახურებმა არ დაუშვა შრომის
დისციპლინის ახალი დარღვევა და ამასთან
გამოავლინა თავი, როგორც კარგმა და კე-
თილისინდისიერმა მუშაკმა, სკოლის დირექ-
ტორს (გამგეს) შეუძლია მის მიერ დადე-
ბული სასჯელის მოხსნა ერთი წლის გა-
სვლამდეც“.

6. დაემატოს მე-65 წ:

„სკოლაში ჩადენილი სკოლის კუთვნილი
ქონების მოპარევისათვის, მუშაკი მიეცემა
სასამართლოს პასუხისმგებაში სსრკ უმაღ-
ლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 10 აგ-
ვისტოს ბრძანებულებისა და სისხლის სა-
მართლის კოდექსის შესაბამისად“.

7. დაემატოს მე-66 წ:

„სკოლაში ხულიგნური მოქმედებისათვის
მუშაკი მიეცემა სასამართლოს პასუხისმგება-
ში სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის
1940 წ. 10 აგვისტოს ბრძანებულებისა და
სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამი-
სად“.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

8. კიბენაშვილი

საქ. დაწყებითი და საშუალო სკოლის
მუშაკთა კავშირის ც. კომიტეტის თავ-რე
ალ. მუსისიშვილი

1941 წ. 16 ოქტომბერი.

აუგაზმისა და აპარის ასსრ შარქსახომისა, სამხრეთ-ოცენის სამარკავის
დო გადატლების გაცოცილების გამგების, ჩაღარებისა და რაიონების გა-
ნატლების გაცოცილების, არასრული საზუალო და საზუალო ცენტრული
დირექტორის.

5 ოქტომბერი — 1941 წ. № 1028

ახალ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით,
მათემატიკაში სამეცადინო ცხრილისა და
წლიური სამუშაო გეგმის შედგენის საქმეში
დამატების გაწევის მიზნით, მათსთავე
გეგზავნებათ საორიენტაციოდ მათემატიკის
საათების განაწილება ძირითადი თემების ში-
ხდებით.

მეხუთე კლასი.

(7 საათი კვირეულში, სულ 231 საათი,
აქედან განმეორებისათვის 55 საათი).

1. ჩვეულებრივი წილადები	60 საათი.
2. თწილადები	50 საათი
3. პროცენტები	30 საათი
4. პროპორციები	16 საათი
5. სიღიდეთა პროდაპირი და უკუ-	
პროპორციულობა	20 საათი

მეექვეს კლასი

(5 საათი კვირეულში, სულ 165 საათი,
აქედან განმეორებისათვის 15 საათი).

ალგებრა.

(3—საათი კვირეულში)

1. ასოთი გამოსახულება	10 საათი
2. შეფარდებით რიცხვები	18 საათი
3. მთელი ერთწევრები და მრა-	
ვალწევრები	40 საათი
4. მრავალწევრა გამოსახულების	
დაშლა მარავლებად	23 საათი

გეომეტრია

(2—საათი კვირეულში)

1. შესავალი	8 საათი
2. სამკუთხედები	26 საათი
3. პარალელი სწორი ხაზები	25 საათი

მეშვიდე კლასი

(5 საათი კვირეულში, სულ 165 საათი,
აქედან განმეორებისათვის 20 საათი).

ალგებრა.

(3 საათი კვირეულში სასწავლო წლის
პირველ ნახევარში და 2 საათი მეორეში).

1. ალგებრული წილადები	20 საათი
2. პროპორცია	4 საათი
3. პირველი ხარისხის ერთულო-	
ბიანი განტოლება	25 საათი
4. უტოლობა	6 საათი
5. პირველი ხარისხის განტოლე-	
ბათა სისტემა	14 საათი
6. კვადრატული მოფენება	6 საათი

გეომეტრია

(2 საათი კვირეულში სასწავლო წლის
პირველ ნახევარში და 3 საათი მეორეში).

1. ოთხუთხედები	26 საათი
2. წრეხაზი	30 საათი
3. ჩასწეული და შემოხაზული სამკუთხედები და ოთხუთ- ხედები	15 საათი

მერვე კლასი

(5 საათი კვირეულში, სულ 165 საათი,
აქედან განმეორებისათვის 12 საათი).

ალგებრა

(3 საათი კვირეულში სასწავლო წლის
პირველ ნახევარში და 2 საათი მეორეში).

1. ხარისხები და ფესვები	24 საათი
2. კვადრატული და უმაღლეს ხარისხის განტოლებანი, რომ- ლებიც კვადრატულ განტო- ლებაზე დაყვანებიან	38 საათი
3. მეორე ხარისხის ორულონ- ბინ განტოლებათა სისტემა	13 საათი
4. ფუნქციები და მათი გრაფი- კები	6 საათი

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

(2 საათი კვირეულში, სასწავლო წლის
პირველ ნახევარში და 3 საათი მეორეში).

1. მსგავსი ნაკვეთები	28	საათი
2. მახვილი კუთხის ტრიგონო- მეტრიული ფუნქციები	8	საათი
3. შეტრიული თანაფარილობანი სამყუთხედში და წრეში	20	საათი
4. ცნება გეომეტრიაში ალგებ- რის გამოყენების შესახებ	4	საათი
5. მრავალკუთხედების ფართო- ბები	12	საათი

მეცნიერება კლასი

(6 საათი კვირეულში, სულ 198 საათი,
აქედან განმეორებისათვის 16 საათი).

ଲେଖକ

(2 საათი კვირეულში)

1. პროგრესიები	24	საათი
2. სარისსხის მაჩვენებლის ცნების განზოგადება	8	საათი
3. მაჩვენებლიანი ფუნქცია და ლოგიტითმები	42	საათი

კერძო

(2) საათი კვირეულში

1—ဒုဇူးနိမ်ဂျာ

1. წესიერი მრავალუთხელები 10 საათი
2. ზღვარის ცნება, წრებაზის
სიგრძე და წრის ფართობი 14 საათი
3. სტრუქტურულია — მრავალ-
წანაგა სხეულებამდე 38 საათი

ବ୍ୟାକିନୀ

(2 საათი ქვირეულში)

ପ୍ରକଳ୍ପରୀତିରେ	ଗ୍ରାମବାଲ୍ଲିଙ୍କିନ୍ଦ୍ରିୟରୁଲ	1-ଲ,
ମେ-2 ରୁ ମେ-3 ଟେମ୍ପରେସି	ଫାଇଲିଂରେ	17 ସାବଧାନ
ମେ-4 ଟେମ୍ପରେସି		20 ସାବଧାନ
ମେ-5 ରୁ ମେ-6 ଟେମ୍ପରେସି		10 ସାବଧାନ

ଶ୍ରୀମତୀ ପ୍ରମାଦୀ

(5 საათი კვირეულში, სულ 165 საათი, აქედან განმეორებისათვის გამოყენება)

අලුත්තේ

(2 საათი კვერცხულში სასწავლო წლის პირველ ნახევარში და 1 საათი მეორეში).

1. შეერთებანი - და ნიუტონის
ბინომი 12 საათი
2. კომპლექსური რიცხვები 8 საათი
3. ურთოლებანი და განტოლება-
თა გამოკვლევა 20 საათი
4. ბეზუს თეორემა და მისი შე-
დეგები (მე-3, მე-4, მე-6 ხა-
რისხის თრიჯევრ განტოლე-
ბათა ამოხსნა, სამუშავრა გან-
ტოლებათა ამოხსნა, სიმეტ-
რიული განტოლება). 14 საათი

გეომეტრია

(2 საათი კვირეულში)

1. მრავალწანიანი სხეულები 30 საათი
2. მრგვალი სხეულები 18 საათი

ଓଡ଼ିଆ ମେଲ୍

(1 საათი კვირეულში სასწავლო წლის პირველ ნახევარში და 2 საათი მეორეში).

1.	მარტიულთხა	სამკუთხედების ამონსნა	ლოგარითმების ცხრილების	დახმარებით	4	საათი.
2.	ირიბკულთხა	სამკუთხედების ამონსნა			10	საათი
3.	შეკცეული	ტრიგონომეტრი- ული	ფუნქციები		5	საათი
4.	ტრიგონომეტრიულ	განტო- ლებათა	ამონსნა		12	საათი
5.	ტრიგონომეტრის	გამოყენე- ბა	გეომეტრიულ	ამოცანების	12	საათი
	ამონსნისათვის				12	საათი

დაწყ. და საშ. სკ. სამმ. უფროსი
უშ. ობოლაძე

ମାତ୍ରମାତ୍ରିକୀୟ ନିଷ୍ପତ୍ତିକାରି

፩. በታችበኝ

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს სამხრეთ-ოსეთის აუტო-
ოლიური ოლქის განათლების განცოცილებას და საჭ. სსრ ჩველა შემოწმი-
სა და საიონის სახალეო განათლების განცოცილების გადაშენების

9 ოქტომბერი 1941 წ. № 1027

არასრულ საჭ. და საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლების
სამოქადაგო ისტორიისა და სსრ კულტურის კრიტიკულის სწავლების
შესახებ.

1941/42 სასწავლო წლისათვის სამოქალა-
ქო ისტორიაში გამოცემული პროგრამების,
სახელმძღვანელოებისა და საშუალო სკო-
ლის მე-8—10 კლასებში ისტორიის საათე-
ბის შემცირებასთან დაკავშირებით შემოსუ-
ლი შეკითხვების გამო საჭ. სსრ განათლების
საჭ. კომისარიატი განმარტავს:

1. საშუალო სკოლის მერკე და მეცხრე
კლასებში მიმღინარე წლის სასწავლო გეგ-
მით სამოქალაქო-ისტორიისათვის განკუთ-
ვნილი საათების შემცირებამ (კურაში ო-
თო საათით) არ უნდა გამოიწვიოს პროგრა-
მიდან რომელმე თემის, ქვეთემისა, თუ სა-
კითხის ამოღება. სამოქალაქო ისტორიის
თოთხელი მასწავლებელი ვალდებულია სა-
სწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათებ-
ში უზრუნველყოს სათანადო კლასებისა-
თვის პროგრამით გათვალისწინებული მასა-
ლის მოლიანად გავლა. ეს გარემოება უნ-
და გაითვალისწინოს მასწავლებელმა საგნის
წლიური სამუშაო გეგმის შედგენისას, პრო-
პორციულად შეამციროს ცალკე თემებისა-
თვის განკუთვნილი საათების რაოდენობა
და იმგარად გადაანაწილოს პროგრამაში
მოცემული თემები სასწავლო გეგმით გა-
თვალისწინებულ საათების რაოდენობაშე, რომ ამ ღონისძიებამ გავლენა არ მოახდი-
ნოს საგნის მოლიანი კურსის ნორმალურად
შესწავლაზე.

ვინაიდან მცირდება არა სპროგრამი მა-
სალი, არამედ ის დრო, რომელიც საჭიროა
ამ მასალის კლასში გაკეთოს დადაცემი-
სათვის. უცვლელად დაჩრება მოსწავლეთა
საშინაო დაგალების ოდენობა, მოსწავლე
ვალდებულია შეუმცირებლად შეისწავლოს

ამათუმით თემისათვის სახელმძღვანელოში
მოცემული მასალა.

2. იმის გამო, რომ საშუალო სკოლის მე-10
კლასში კრებულობით მოხელი წლის განმავ-
ლობაში მხოლოდ სსრკ-ს ისტორია ისწავ-
ლება, ხოლო სასწავლო გეგმის მიხედვით
წლიური საათების სერით რაოდენობა აქ
ნორმაზე გაცილებით მეტია, საათებს შეკვე-
ცა საჭირო არ იქნება. ამ კლასის საპრო-
გრამი მასალაში ცვლილების შეტანის ცალ-
კეულ შემთხვევას გეცნობებათ დამატებით.

3. ჩაც შეხება ცალკე კლასებში სამოქა-
ლაქო ისტორიის კურსის გავლის თანმიმდევ-
რობას, იგი 1940-41 სასწავლო წელსაც ჩერება
იმგარად, როგორც ეს გასულ სასწავლო
წელს იყო. ე. ი. მერკე კლასი სასწავლო
წლის პირველ ნახევარში შეისწავლის სსრ
კავშირის ხალხთა ისტორიას დასტყისიდნ
მე-17 საუკუნის დასასრულამდე, ხოლო მო-
რე ნახევარში ახალი ისტორიის პირველ პე-
რიოდს (1789—1870 წლები). მეცხრე კლა-
სი — პირველ ნახევარში შეისწავლის ახალი
ისტორიის მეორე პერიოდს (1870-1918 წლ.).
ხოლო მეორე ნახევარში სსრ კავშირის
ხალხთა ისტორიას მე-18 საუკუნის დასტყი-
სიდნ მე-19 საუკუნის დასასრულამდე.
მეოთე კლასი კი სსრ კავშირის ხალხთა ის-
ტორიის უახლოეს პერიოდს (1901 წლი-
დან დღემდე) ისე, როგორც ეს მითითებუ-
ლია პროგრამაში.

4. იმის გამო, რომ მიმღინარე სასწავლო
წელს პედაგოგიური სასწავლებლებისათვის
სამოქალაქო ისტორიაში გრებულობით ცალ-
კე პროგრამა არ გამოცემულა, პედაგოგიუ-
რი სასწავლებლები ისტორიაში ისარგებლე-
ბენ საშუალო სკოლის მე-8—10 კლასების

პროგრამებით. იმ ანგარიშით, რომ ჰედსას-წავლებლის I კლასში გავლილ იქნას სა-შუალო სკოლის მე-8 კლასისათვის, მე-2 კლასში საშუალო სკოლის მე-9 კლასისა და მე-3 კლასში საშუალო სკოლის მე-10 კლა-სისათვის განკუთვნილი საპროგრამო მასა-ლები და იმ პრინციპებისა და კურსობრივ თანმიმდევრობის დაცვით, როგორც ეს სა-შუალო სკოლის მე-8-10 კლასებისათვისაა მითითებული ამ განმარტების 1-ლ და მე-4 მუხლებში.

5. სსრ კავშირის კონსტიტუციაში ასე-
ბული პროგრამები გაუქმებულია. სსრ კავ-
შირის კონსტიტუცია არასრული საშუალო
და საშუალო სკოლების მეშვიდე კლასებში
უნდა იძირდებოდეს თვით სსრ კავშირის
კონსტიტუციის ტექსტის მიხედვით და იმ
ცალილებების გათვალისწინებით, რომელიც
კონსტიტუციის ცალკეულ მუხლებშია შეტა-
ნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სე-
სიების მიერ.

મનુષ્ય વિજ્ઞાન

აფხაზეთისა და აჭარის ასენ განსაკომიტეს, სამხრეთ-ოცენის ავონ-
ცომიური ოლქის განათლების განცოლის განათლებას, საქალაქო და სარაიონო
განათლების განცოლის განათლებას, საუკალო სკოლის და პედაგოგიური სა-
სწავლებლის დირექტორებს.

საცურალო სკოლების 80-8, 9, 10 და პედაგოგიკური სახლების 1-ლ, 80-2, 80-3 კლასებში საგანმანათვო ფინანსურული მომზადებისათვის გათვალისწინებული სახლების გადაწყვეტილების შესახებ.

И ом მიზნით, რათა უზრუნველყოფილი ქენეს საშუალო სკოლის და პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეთა სამხედრო-თავე-დაცვითი მომზადება, 1941—42 სასწავლო წლიდან საშუალო სკოლის უფროს და პე-დაგოგიური სასწავლებლის მე-2 და მე-3 კლასებში სამხედრო ფიზკულტურული მო-მზადებისათვის გათვალისწინებული საათე-ბა დიდდება, სამხედრო ფიზკულტურული მომზადებას საშუალო სკოლის მე-8-კლ. კე-რაში ეთმობა 3—საათი, მე-9 კლასში—4 საა-თი და მე-10 კლასში — 5 საათი. პედაგო-

6. საშუალო სკოლის ღანაჩერები კლასების
სასწავლო გეგმა და პროგრამები აქტივულუ-
კო ისტორიაში უცდლელად ჩატარებული
რე საშუალო წელსაც.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი

8. ՀՈՎՀԱՊԸ

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამ-
მართველოს უფროსი

CPA. ၂၈၂၉

କୁଳ ପରିବାରର ଦ୍ୱାରା ଉତ୍ସମ୍ମାନ କରାଯାଇଥାଏ ।

ଦେବପାତାର ମୁଖରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା 1-ଟଙ୍କା

ମୁଣ୍ଡରୀ ପାଇଁ କାହାର ଜାଗରୂପ କାହାର କାହାର କାହାର

၁၇၈ ရဟန်ရာရွေး

ଗୋଟିଏ କାହାର କାହାର କାହାର କାହାର କାହାର କାହାର

რული მომზადებისათვის საათების გაღიდე

ଦ୍ୱା କ୍ଷେତ୍ରଦା ସାମ୍ନ୍ତ୍ରାଲିଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହା ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲା

ლისტინებული სხვადასხვა სასწავლო დის-

ციპლინების საათების ხარჯზე, კერძოდ:

1. კაონტრულ ცარტუალო აუკლებით, თითო დივრებისას საათი აულება მე-8 კლასებში

სამოქალაქო ისტორიასა და გეოგრაფიას

ମେ-୨ ପଲାଶ୍ୟରମ୍ଭ କାନ୍ତକୁଳ ଲିଂଗ୍ରେଣାରୁକ୍ଷା

სამოქალაქო ისტორიასა და ბუნებისმეტყველებას (დარეკინიშმის საფუძვლებს), ხოლო მე-10 კლასებში ისტორიასა, მთემატიკასა და გეოლოგია-მინერალოგიას.

2. რუსულ საშუალო სკოლებში, თითო კვირეული საათი აკლდება მე-8 კლასებში პარალელ ენასა და ლიტერატურას და სამოქალაქო ისტორიას, მე-9 კლასებში რუსულ ლიტერატურას, ისტორიას და ბუნებისმეტყველებას, ხოლო მე-10 კლასებში სამოქალაქო ისტორიასა, მთემატიკასა და გეოლოგია-მინერალოგიას.

3. სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და აფხაზურ სამუალო სკოლებში, თითო კვირეული საათები აკლდება: მე-8 კლასებში ქართულ ლიტერატურას, გეოგრაფიასა და სამოქალაქო ისტორიას, მე-9 კლასებში სამოქალაქო ისტორიას, ბუნებისმეტყველებას და ფიზიკას, მე-10 კლასებში კი მშობლიურ ლიტერატურას, მთემატიკას, გეოლოგია-მინერალოგიას და სამოქალაქო ისტორიას.

4. ქართულ და რუსულ პედაგოგიურ სასწავლებლებში, თითო კვირეული საათი აკლდება: მე-2 კლასებში ბუნებისმეტყველებას, მე-3 კლასებში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას და პედაგოგიურ პრაქტიკას.

5. სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და აფხაზურ პედაგოგიურ სასწავლებლების მე-2 კლასებში ბუნებისმეტყველებას კვირეულში აკლდება 1 საათი, ხოლო მე-3 კლასებში

თითო აკლდება რუსული ენასა და ლიტერატურას და ქართულ ენასა და ლიტერატურას.

კრიტიკული უკანონობების განაცხადის შემთხვევაში

II. მეცალინეობა სამხედრო შემსალების დარღვი უნდა სწარმოებდეს ვაჟებისა და ქალებისათვის ცალცალკე, შემდეგი სახით:

ი სკოლებში სადაც პარალელური კლასებია, იქმნება გვუფები ვაჟებისა და ქალებისათვის ცალცალკე. ისეთ სკოლებში, სადაც პარალელური კლასები არ არის სამხედრო მეცალინეობის დროს რჩ სხვადასხვა გვუფები მე-8 და მე-9, ან მე-9 და მე-10 კლასებში, ერთიანდებიან ვაჟები და ქალები ცალცალკე. ისეთ შემთხვევაში, როცა სკოლაში სამი კლასია, — მე-8, მე-9 და მე-10 გაერთიანდებიან მე-9 და მე-10 კლასების ვაჟები და ქალები — ცალცალკე, ხოლო მე-8 კლასებში მეცალინეობა იწარმოებს ქალებისა და ვაჟებისათვის ერთად, ვაჟებისათვის განკუთვნილი სასწავლო გეგმის მიხედვით.

III. სამხედრო ფიზკულტურული მომზადებები შემდეგი სამი ძირითადი დარგისაგან შესდგება: ა) სამხედრო მომზადება, ბ) ფიზკულტურული მომზადება და გ) სამხედრო-სანიტარული მომზადება ქალებისათვის; სასწავლო გაგმით გათვალისწინებული კვირეული და წლიური საათები ამ სამი ძირითადი დარგის მიხედვით შემდეგი სახით ნაწილდება:

	მე-8		მე-9		მე-10	
	კვირეულად სასწავლო წლის I-ლ ნახევარში	კვირეულად სასწავლო წლის II ნახევარში	კვირეულად სასწავლო წლის I-ლ ნახევარში	კვირეულად სასწავლო წლის II ნახევარში	კვირეულად სასწავლო წლის I-ლ ნახევარში	კვირეულად სასწავლო წლის II ნახევარში
I. კაცების ჯან.						
1. სამს. მიწინადების ხელმძღვანელის მინიჭებით	1	2	2	3	8	3
2. ფიზიკური მომზადების ხელმძღვანელის მინიჭებით	2	1	2	1	2	2
სულ	3	3	4	4	5	5
II. ქალების ჯანუარი						
1. სამხედრო მომს. ხელმძ.	—	1	1	1	1	1
2. ფიზიკური მომს. ხელმძ.	2	1	2	1	2	2
3. სამს სანიტ. მომს. ხელ.	1	1	1	2	2	2
სულ	3	3	4	4	5	5

სამხედრო ფიზკულტურული მომზადების პროგრამა შედგება სხვადასხვა განყოფილებებისაგან. მათ სხვადასხვა რაოდენობით

ეთმობა ცალკე კლასებში საათები (ინდივიდუალური წარმოდგენილი სქემა).

უძრავი განვითარების
სამსახური

პროგრამის ძრითაფი განყოფილებანი	3 გებისათვის			5 გადატანისათვის		
	მე—8 კლ. კლ.	მე—9 კლ. კლ.	მე—10 კლ. კლ.	მე—8 კლ. კლ.	მე—8 კლ. კლ.	მე—10 კლ. კლ.
1. ფიზკულტურული მომზ.	50	50	66	50	50	66
2. სამშეკობრო მომზადება	16	20	20	4	4	4
3. სასროლო მომზადება	—	18	22	—	8	6
4. სამხედრო ტოპოგრაფია	11	18	16	—	8	—
5. საპარო ჭიმისათვის თავდაცუის ჭესტები	22	18	31	12	13	16
6. წითელი არმიის ჭესტება	—	8	10	—	—	—
7. სამხედრო სანიტ. საქმე	—	—	—	33	49	73
ს უ ლ	99	132	165	99	130	165

სამხედრო ფიზკულტურული მომზადების პროგრამაში საათების განაწილება იღვავ განსხვავდება ამ განაწილებისაგან, იმის გამო, რომ პროგრამაში საათების განაწილება შეფარდებული არ არის კვირის ცხრილთან, სკოლებმა უნდა ისარგებლონ ამ განაწილებით.

6. სამხედრო ფიზკულტურული მომზადებისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათების ზევით, მე—8, 9, 10 კლასების მოსწავლეებთან ყოველ კვირაში თოთხმერ უნდა მოყვანოს საუბრები, თემაზე „წითელ არმია და სამხედრო საზღვაო ფლობი ფაშიზმის წინააღმდეგ სამამულ ომში“. საუბრების დროს მოსწავლეებს უნდა მოუთხროთ ჩევნი წითელი არმიელებისა და წითელ ფლოტელების გმირობისა და მამაკობის შესახებ და აგრეთვე მტერზე გამარჯვებისათვის ახალგაზრდობის შრომითი მამაკობისა და მიღცანების შესახებ ზურგში. ამ მუშაობის ჩატარება ენდობა სკოლების დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგებებს და ისტორიისა, მშობლიურ ლიტერატურისა და გოგორაფიის მასწავლებლებს.

7. წელს მე—10 კლასებში, ვაეკეთან, სასწავლო წლის პირველ ნახევარში გათვალისწინებული საათები მთლიანად ეთმობა

სქეთ-ს, სამშეკობრო მომზადებას, საცეცხლო საქმეს და სამხედრო ტოპოგრაფიას. ამის გამო სასწავლო წლის პირველ ნახევარში ფიზკულტურა ვაეკეთან არ ისწავლება, ფიზკულტურის საათების ანაზღაურება მოხდება სასწავლო წლის მეორე ნახევარში სამხედრო მომზადების საათების ხარჯზე.

8. სამხედრო ფიზკულტურული დისკიპლინების სწავლება უნდა მიმღინარეობდეს საველე პირობებში, იგი აუცილებლად უნდა ატარებდეს პრაქტიკულ ხსიათი, ამის გამო, კვირეულში დათმობილ, საერთო საათებით და ლეგში ორი-სამი გავეოთლი ერთმანეთის მიყოლებით, ზელისედ უნდა ტარდებოდეს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოლის სამეცადანო ცხრილის შედგენისას.

9. სამხედრო და ფიზკულტურული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული თემებისათვის განკუთვნილი საათების საერთო გამო აღმატება ამ დისკიპლინისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათების რაოდენობას. ამის გამო, ხაწილი ამ თემების კლასებარეშე მცველობის ხაზით უნდა იქნეს შესწავლით, თუ კერძოდ რომელი თმა, ამაზე მითითებულია თვით პროგრამაში.

10. სამშეკობრო და სასროლო მომზადება

წითელი არმიის წესდების ძროგთაღი მუხ-
ლები (რომელთაც პრაქტიკული გამოყენები-
თი მნიშვნელობა აქვს) პირობითი ნიშნები
და რეკის წაკითხვა, სამხედრო ტოპოგრა-
ფიიდან და სამწყობრო ძახილები ფიზკულ-

ტურის გაცემილებზე უნდა ტარდებოდა
ჩუსულ ენაზე.
საქ. სსრ განათლების სახალხო მინისტრის
ბ. კიკელაძე

1941 წ. 21 სექტემბერი.

აზარისა და აუგაზეთის ასას განსახოვებას, სამხედრო-ოსეთის საოლ-
ო განათლების გან-გის გამზე, ჩალავებისა და აიონების განათ-
ლების გაცოცილებების გამზებას, საუზალო სკოლის და ვეღაობისა
სასამართლების დისტანციაზე.

სამხედრო ფიზკულტურული მომზადების
საათების გადიდებასთან დაკავშირებით სა-
მეცნინო ცხრილის შედგენის საქმეში და-
ხმარების გაწევის მიზნით, ამასთანავე გვ-
გზავნებათ სანიმუშო ცხრილი სასწავლო
წლის I ნახევრისათვის.

ცხრილი შედგენილია ორ ვარიანტად—
პარალელურ და არა პარალელურ კლასე-
ბიანი სკოლებისათვის.

ცხრილის პირველი ვარიანტის მიხედვით,
იმ სკოლებში, სადაც პარალელური კლასე-
ბია, მე-8 კლასების ვაჟები ოთხშაბათს (შეი-
ძლება სხვა ღლე იქნეს გამოყოფილი) მე-5
და მე-6 გაკვეთილებზე იმედინებენ ფიზ-
კულტურაში, ხოლო ქალები მე-5 გაკვე-
თილზე—სანიტარულ მომზადებაში და მე-6
გაკვეთილზე მიღიან სახლში; სამაგიეროდ,
პარასკევს, მე-5 გაკვეთილის შემდეგ, ვაჟე-
ბი მიღიან სახლში, ქალები კი რჩებიან მე-6
გაკვეთილზე: მე-9 კლასებში, ვაჟებს, ოთ-
ხშაბათს 1-ლი და მე-2 გაკვეთილად აქვთ
ფიზკულტურა, ხოლო ქალებს — ერთი საა-
თი სამხედრო მომზადება და მეორე საათი
სანიტარული მომზადება; პარასკევს მე-3-და
მე-4 გაკვეთილზე ვაჟებთან ტარდება სამხე-
დრო მომზადება, ხოლო ქალებთან „ფიზ-
კულტურული მომზადება, მე-10 კლასებში,
ვაჟები ოთხშაბათს მე-3 და მე-4 გაკვეთი-

ლებზე მიღიან სამხედრო მომზადების ხელ-
მძღვანელთან, ხოლო ამ დროს ქალები მეცა-
ლინეობენ სანიტარულ მომზადებაში. ამავე
დღეს, ქალებს მე-6 გაკვეთილზე აქვთ სა-
მხედრო მომზადება, ვაჟები კი — სახლში
მიღიან. შაბათს ვაჟები მე-4, მე-5 და მე-6
გაკვეთილებზე მეცალინეობენ სამხედრო
მომზადებაში, ხოლო ქალები მე-4 და მე-5
გაკვეთილზე ფიზკულტურაში და მე-6 გა-
კვეთილზე მიღიან სახლში.

ისეთ შემთხვევაში, როცა სკოლაში სამი
კლასია, — მე-8, მე-9 და მე-10 (ისილეთ
ცხრილის მეორე ვარიანტი), გაერთიანდე-
ბიან მხოლოდ მე-9 და მე-10 კლასის ვაჟები
და ქალები ცალცალკე და კვირეულში 4 საა-
თი ერთად მეცალინეობენ მე-10 კლასის
პროგრამის მიხედვით. დამატებითი ერთი
საათი მე-10 კლასის მოსწავლეებთან (ვაჟებ-
თან და ქალებთან ცალცალკე) ცალკე ტარ-
დება. დამატებითი, მე-5 საათი, ეთმობა იმ
მასალის გაღრმავებას, რასაც მე-9—10 კლ-
სების მოსწავლენი ერთად გაღიან კვირეულ
4 საათში.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარის
მოადგილო

ბ. კიკელაძე

1941 წ. 25 სექტემბერი

I გარიანტი

იმ სკოლებში სადაც პარალელური კლასებია
აღმართის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დღეები	VIII-ა კლ.	VIII-ბ კლ.	IX-ა კლ.
ორშაბათი			
სამშაბათი			
ოთხშაბათი	5 სანიტ. მოაზ. ქალ. ფიზ.- ქულტ. ჩატ. ბისათვ. 6 ფიზკულტ. კულტისათვ.	5 სანიტ. მომზ. ქალ. ფიზ.- ქულტისათვ. 6 ფიზკულტ. გაეტის თვ	1 სამშედრო-ქალებ. ფიზ. 3 ექიმიათ. 2 სანიტ. მომ. ქალ. ფიზ. გად.
ხუთშაბათი			
პარასკევი	5 ფიზკულტ. ქალებისათ. სამშედრო-ვაეტ. სათ. 6 ფიზკულტ. ქალებისათვ.	5 ფიზკულტ.-ქალებ. სამ- შედრო ვაეტ. 6 ფიზკულტ. ქალებ.	3 სამზ. ვაეტისათ ფიზ. ქალებისათ. 4 სამზ. ვაეტ. ფიზ. ქალებ.
შაბათი			

II

კლასებისა 1941—42 სასწ. წელი (სასწ. წლის 1 ნაზევარი)

IX-ბ კლ.	X-ა კლ.	X-ბ კლ.
სამშედრო ქალებისათ ფიზ.- ვაეტ. სანიტ. მომზ. ქალებისათვ. ფიზ.- ქულტ. ვაეტისათვის	3 სამზ. ვაეტ. სანიტ. მომზ.; ქალებ. 4 სამზ. ვაეტ. სანიტ. მომზად. ქალებ 5 სამზ. ქალებისათვის	3 სამზ.-ვაეტ. სანიტ. მომზ. ქალებ. 4 ს.მზ. ვაეტ. სან. რ. მომზ. ქალებ. 5 სამშედრო-ქალებისათვის
სამშედრო-ვაეტისათვის ფ. ჟკულტ.- ქალებისათვის სამშედრო-ვ. ექ- ბისათვის ტიპ.-ქალებისათვის	4. სამზ.-ვაეტ ფიზკულტ. ქალებისათვ. 5. ს.მზ. ვაეტ. ფიზკულტ. ქალებისათვ. 6. სამზ.-ვ. ექ-ბისათვის	4. სამზ.-ვ. ექ-ბ. ფიზკულტ. ქალებ. 5. სამზ. ვაეტ. ფიზკულტ. ქალებ. 6. სამშედრო ვაეტისათვ.

III

ერთკომისილეტრიან საშეალო სკოლისათვის. II გარიანტი საჭ. წლის I ნაზევარი

დღეები			
ორშაბათი			
სამშაბათი	3. სამშედრო მომზად.	4. სამშედრო-ვაეტ. ფიზ.- ქულტ. ქალების. თ. 5. სამზ.-ვაეტ. ფიზ.-ქალებ.	4 სამზ. ვაეტ. ტიპ.-ქალ. 5 ს.მზ.-ვ. ექ-ბ. ფ. ხ. ქალებ. 6 სამზ. ვაეტ. სანიტ. მომზ. ქალ.
ოთხშაბათი	5. ფიზკულტურა 6. ფიზკულტურა	6 სამზ. მომზ. ქალებ.	6 სამზ. მომზ. ქალ.
ხუთშაბათი			
პარასკევი			
შაბათი			

განათლების სახალხო კომისარისადმი

1941 წლის „24“ ოქტომბერი.

ველურ ფამილიულ მცხოვრილის შემარტივი ცეკვის მიზანით სამარტინო განათლების შესახებ.

სამარტინო მცხოვრილში ველური წამლების შესახებ მცხოვრილის შეკრება უაღრესად დიდი მნიშვნელობის საქმეა, რადგან ეს მცხოვრები სახელმწიფოს დიდი რაოდენობით სპირდება ფრონტისა და ზურგისავისი. ველურ წამლები მცხოვრები შეკრების საჭირო საუკეთესოდ მოგანიხიების მიზნით კბრძანება:

1. ყველა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში დაყუყონებით ჩამოყალიბდეს ველურ წამლები მცხოვრები შეკრების კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარებებად გამოყოფილი იქნება სკოლათა დირექტორები, კომიტეტში წევრებიდან შეკრენენ ბეჭებისმეტყველების მასშივრებლები, პონერ ხელმძღვანელები და სკოლის ექიმები, სა-დაცა ასეთები არიან.

2. ველურ წამლები მცხოვრები შეკრების კომიტეტი მცირდოდ დაუკავშირდნენ ადგილობრივ აფთიაქებს სამკურნალო მცხოვრების შეკრება-ჩაბარების წესების გასაცნობად და სათანადო ხელშეკრულების გა-სფორმებლად.

3. სამკურნალო მცხოვრები შეკრების კომიტეტში ფართოდ განვითარებონ სკოლის კომუნიკაციისა და პონერთა ორგანიზაციებსა და მოწავლეებს სამკურნალო მცხოვრების შეგროვების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმისათვის და ამასთან ერთად გააცნონ მათ ამ მცხოვრები შერჩევა-გაშონობის და შეკრეფა-გახმობის ასებული წესები.

4. ბიოლოგის მასშივრებლებმა მოსწავლეებთან ჩატარონ საუბრები ძირითად სა-მკურნალო მცხოვრები ზრდა განვითარებისა

და მათი შეკრებისა და გახმობის უესების შესახებ.

5. სამკურნალო მცხოვრები შეკრების კომიტეტში მტკიცე მეთვალყურეობა დაწერ-სონ, რათა არ ექნეს ადგილი სამკურნალო მცხოვრები უხშად განადგურებას მათი შეკრების დროს.

6. განათლების განყოფილებებმა სისტემა-ტურად უხელმძღვანელონ სამკურნალო მცხოვრები შეკრების საქმეს, გამოავლინონ მოწინავენი ამ საქმეში და ფართოდ განაზოგადონ მათი გამოყიდვება სკოლათა შორის.

7. წარმოდგენილი წესები შემოღომისა და დრეული გაზაფხულის ველურ სამკურნალო მცხოვრები შესახებ დამტკიცდეს (თან ერთვის). დაევალოს განსახუმის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამართველოს და სკოლის კვლევითი სამეცნიერო ინსტრუმეტს ჭანასაკემოთან ერთად. დამუშაოს ინსტრუქცია საქართველოში ვაკუუმებული სამკურნალო მცხოვრების შეკრება, გახმობა, შეფუთვის შესახებ და დასამტკიცებლად წარმოადგნოს აწ 1 დუკებრძადე.

8. დაევალოს სკოლების დირექტორებს ყოველი თვის ბოლოს წარმოუდგინონ განათლების განყოფილებას ანგარიში სამკურნალო მცხოვრები შეგროვების შესახებ, ხოლო განათლების განყოფილებებმა ყოველი წლის 20 მარტისა, 20 მაისისა, 1 სექტემბრისა, 1 ნოემბრისა და 30 დეკემბრისთვის შეკავებული ცნობები ველური წამლებული მცხოვრების შეკრების შესახებ გადმი-უგზვნონ განსახომს.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

გ. პირადი

୧୯୬୧ ଜାନୁଆରୀ



ଶ୍ରେଣ୍ୟର ହାତରେ କିମ୍ବାର୍ଦୀ—ବୋପୁରୀ, ଅଶ୍ଵିନୀପାଦ ଓ କାର୍ତ୍ତବାଲାଙ୍କାଶ ଉପରେରୁ-ଦୂରିତ୍ୱ-ଲେଖିବା ପରେକୁ ପିଲାକୁରୁଷଙ୍କ ମନିତୀର୍ଥରୀ ବ୍ୟାପାରରେ ଯେତେବେଳେ

മന്ത്രപ്രസിദ്ധ നായകന്മാരുടെ

მოცეის ნაყოფის კრეფა ხდება მისი სრული სიმწიფის ღროს შემოღვომაზე მზიან კარგ ამინდში.

დაკრეცილი მოცვის ნაყოფი გადაქვეთ
სუფთა შშრალ შენობაში, სპლატ ჰაერი კარ-
გად მოძრაობს, შლიან თხლად, ერთიულნად,
თაროებშე, ჩამოყალიულ ჩელტებშე ან, შეი-
ღურეს შემთხვევაში, იატაზე დაგებულ ჭი-
ლოფშე ან სხვა სუფთა ქსოვილზე. გაშლილ
ნაყოფს ყოველდღე გადააბრუნ-გაშმოაბრუ-
ნებენ და ურევენ. გამშმარ მოცვის ნაყოფს
ასუფთავებენ გარეშე მინარევებისაგან
ცხრალზე ან სანაცვებელ მანქანაში და ათავ-
სებენ სუფთა ტომჩებში. მზეზე გახმობა
დაუშევებელია.

მოცევის ნაყოფი შეიფუთხება ტრიმერებში ბრუტო წონით 50 კგჩ. მოცევი ბუჩქად ან პატარა ხელ გვხვდება შემღეგ რაიონებში: ხაშურის, ხარაგაულის (ორჯონიძის), ზე-სტაფანის, ჭავათურის, ჩხარის, ქუთაისის, მაიკოვსკის, ვანის, ტყიბულის, ამბროლაურის, ცაგერის, ონის, ქედასა და ხულოში (აჭარა).

ასკილის ნაუოცი.

ასკილის ნაყოფი გვედრება საქართველოში ყველგან გარდა აჭარისა, სამეგრელოსა და გურიისა.

အပုဂ္ဂလိုင် နာယျကြေး၊ မြှင့်ရွှေ့ချာ မြတ်မြတ်ပဲ
မီးရာလ အမိန့်ဆီ ဖျော်တွေ့ကြမား။ ဇာမိစွဲဖွေ့ခြား
လာန ပိုကြော် ဖို့ကြေး လာလွှာမှတ်။ ဤရှိစွဲပေါ်
စရိတ်လောင် မြို့စွဲ မြို့တော် အဲ မြို့ရှိစွဲလွှဲ
နာယျကြေး၊ ဂာသာဒ္ဓံပူး-ဂာသာဒ္ဓံပူး နာယျကြေး
အဲ ဤရှိစွဲပေါ်။ မြှင့်ရွှေ့ချာလွှဲ ထားလွှေ့ပေါ် ကုလာ-
တော် အဲ ဂုဏ်တော်များ၊ စွဲဖွေ့ခြားပျော်များ-
ဂာ, ဂာသာဒ္ဓံပူးလှ ဂာသာဒ္ဓံပူးလွှဲ နာယျကြေး-
ဂာန လာ စပါးရာလွှာ အဲ မြို့ရှိစွဲ။ ဤလွှဲလွှဲ နာယျ-
ကြေး ကုလာတော် အဲ ဤ ဤနှစ် ဝေးဆိုလွှေ့ပေါ် မြို့ရှိ-
စွဲ။

განმობის წესი. ასკილის ნაყოფის განმობა სწარმოებს თბილ ჩვეულებრივ ღუმელში (ფერში) ტემპერატურა ღუმელისა არ უნდა აღემატებოდეს ცელსიუსით $35-40\%$. ცხელ-ღუმელში ასკილი ფუჭდება. ანთებული ღუ-მელის ზევით ოთხვე კუთხეში თავსდება აკური ან ქვა. აგურის ზემოთ ათავსებენ ფა-ნერას ან სხვა თხელ ფიცარს და უკან-სკნელზე თხელფენად აყრიან ასკილის ნა-ყოფს. ჩათა თანაბრად განმეს, საჭიროა მისი მორჩვა. შეძლება აგრეთვე ნაყოფი მოთავ-სდეს $35-40\%$ განურებულ საღვეში და განმეს თანათან მორცვით.

ჩასაბარებლად დღმზადებული ასკილის
ნაყოფი უნდა იყოს კარგად გამზმარი, მოვ-
ლი და არ უნდა ერთის შექმიტების, გამავე-
ბული და მიწვარი ნაყოფი და სხვა გარეშე
მინარევი. ის უნდა იყოს მცურავითელი კრია-
ლა ფერის ნაყოფი. ნაყოფის ზედაპირი ნაო-
კებიანია. სუნი არ უნდა ჰქონდეს, გეროთი
უნდა იყოს მომევეო ტებილი, ცოტად შე-
მკრელი. მასი შეფუთვა ხდება ტომრებში
შონით 50 კმ. რაოდენობით.

კატაბალახას ან გულბაღის ფესურა
ვალერიანა

კატაბალთა წარმოაღვენს მრავალშლოვან
მცენარეს, მაღალ, შეგნით ცარიელი მწვანე
დეროთი. ფრთისებრ მსხვილად დაკილული
ფოთლებით. წერილ, ვარდის ან ისტყერ
სურნელოვან ჟვავილით. მსხვილ ფესვები-
დან გამოდის თეთრი ფერის გრძელი, წერი-
ლი და მჩგვალი ფესურები. ისზღვება მაღალ
ფერდობზე და კლდებზე. კატაბალთა
გვხვდება უმოავრესად კანეთში (მთათუშეთ-
ში), წავისში, საგურამოში (ზბილისის რ.)
ატერში (გორის რ.), წითელ-წყაროს, ამბო-
ლაურის, ონის, და სხ. ჩანარნებში. სიმკუ-
ნალო მიზნით იხმარება შეოლოდ ფესურა.
კატაბალთას ფესურას ამოაღებნ ისეთ

კატაბალახასაგან, რომელიც იზრდება მა-
ლალ. მშრალ მზიან აღვილას განიუხულშე
მცენარის გაღვიძებამდე კარგ ამინდში. უკე-
თესია შემოდგომაზე იქნეს ამოღებული
ოოვლის მოსვლამდე.

ამოღებულ ფესურას აცილებენ მიწას და-
ბერტყვით, აურიან ძირშე ლეროს, ჩეცენ
წყლით და აშრობენ. გასაშრობად ფესურე-
ბი თხლად უნდა გაიფინოს ისეთ შშრალ,
სუფთა და ყერილ შენობაში, სადაც ჰაერი
კარგად მოძრაობს: უკვემდო სხვენზე, ფარ-
დულში, კარავში და სხვ. ხშირად უნდა
აიროს გადაბრუნებ-გადმობრუნებით.

კატაბალახას ფესურა უნდა იყოს კარგად
გამშვიდი (უნდა ტყდებოდეს) და ჰქონდეს

მისთვის დამახასიათებელი სუნი და გამშემ-
რი რეს ფერი. არ უნდა შეიცავდეს გარე-
შე მნარევების, როგორიცაა: დაუტესახულება
სხვა მცენარის ფესურების, მიწას და სხვ.

ვალერიანას სხვა რომელიმე ხილთან ან
ეკირთან მოკრეფა დაუშვებელია. ის იქრა-
ფება განმხოლობებულად. დაუშვებელია აგ-
რეთვე, რომ გახმობისას მას მისწედეს კატა
ან ცხენი. როგორც ერთხე, ისე მეორეზე
კატაბალახა მოქმედობს ურაყოფითად, გან-
საკუთრებით კი ცხენზე (შეიძლება ცხენი
გაცოფდეს).

ვალერიანის ფესურა შეიფუთება წონით
ბრუტო 75—100 კილოგრამიან ცალებად.

-833-834-

საქ. სარ განსაკუმის
მოადგილე მ. ბურგულაძე
5/V—41 წ. თბილისი

3 0 3 0 3 0 3 0 3 0 3 0

შრომითი შინაგანაზესისა საჭ. სსრ განსაკუმის
გიგანტობებისათვის.

I. საერთო დებულებანი

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკე-
ბის კავშირის კონსტიტუციის მე-130 მუხ-
ლის შესაბამისად სსრ კავშირის ყოველი მო-
ქალაქე ვაღლებულია დაიცვას შრომის დის-
ციპლინა.

საბჭოთა კავშირში შრომის დასციპლინა
ემყარება შეგნებულ დამოკიდებულებას
შრომისაღმი, როგორც დირსების საქმისაღ-
მი, დიდების საქმისაღმი, მააცობისა და
გმირობის საქმისაღმი.

2. შრომითი შინაგანაწესის წესების მიზა-
ნია უზრუნველყოს შრომის სოციალისტუ-
რი დისციპლინის განმტკიცება, მუშაობის
სწორი ორგანიზაცია, სამუშაო დროის სრუ-
ლი და რაციონალური გამოყენება, შრომის
ნაყოფერების გადიდება და კეთილხარის-
ხოვანი მუშაობა.

3. ეს შრომითი შინაგანაწესის წესები ტი-

პიურია საქართველოს სსრ განსახუმის სი-
სტემაში შემავალი და განათლების აღვა-
ლობრივი ორგანობისადმი ქვემდებარე ყვე-
ლა მსამართის ბიბლიოთეკისათვის.

4. შინაგანაწესის წესები გამოიკვრება თა-
ო-თოეულ ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო აღ-
ვილზე.

II. მუშებისა და მისამახურებების
მიღებისა და დათხოვნის წესი

5. სამუშაოზე მიღებისა ადმინისტრაცია
ვაღლებულია შემსვლელს მოსთხოვის:

ა) წარმოდგენა შრომის წიგნაებისა, ხოლო
თუ აღნიშნული პირი პირველად იწყებს მუ-
შაობას — წარმოდგენა სახლის მშართველო-
ბის ან სოფლის საბჭოს ცნობისა უკანასკნე-
ლი საქმიანობის შესახებ;

ბ) წარმოდგენა პასპორტისა, პასპორტების
შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე
სამუშაოზე მიღება არ დაიშვება.

6. მუშავის მიერ მუშაობის დაწყებისას ან
მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანისას აღმი-
ნისტრაცია ვალდებულია:

ა) გააცნოს მუშავს მუშაობის წესისა და
ინვენტრის ან ხელსაწყოებისადმი მოჰკო-
ბის წესის შესახებ;

ბ) გააცნოს მას შრომითი შინაგანაწესის,
სანიტარიისა და ჰიგიენის და ხანძრის საწი-
ნააღმდეგო დაცვის წესები;

7. აქტალულია მუშავების თვითნებური
წასვლა ბიბლიოთეკიდან და აგრეთვე თვით-
ნებური გადასულა სხვა დაწესებულებაში.

ბიბლიოთეკიდან წასვლა ან სხვა დაწესებ-
ულებაში გადასულა შეიძლება მხოლოდ
აღმინისტრაციის წებართვით.

8. აღმინისტრაცია ვალდებულია მისცეს
მუშავს დათხოვნის დროს მისი შრომის წიგ-
ნავი მასში დათხოვნის შესახებ ჩანაწერის
შეტანით. ამასთან დათხოვნის მიზეზი აღ-
ნიშნულ უნდა იქნას შრომის კანონით კა-
დეჭილის ფორმულირების ზუსტ შესატყვი-
სად ან ამ კოდექსის მუხლზე (პუნქტზე) მი-
თითების სახით.

III. აღმინისტრაციის, მუშებისა და მოსამ- ხახურების ძირითადი მოვალეობანი

9. აღმინისტრაცია ვალდებულია:

ა) სწორად მოაწესრიგოს მუშავების შრო-
მი ისე, რომ თითოეული მუშავი თავისი სპე-
ციალობისა და კვალიფიკიის მიხედვით
მუშაობდეს;

ბ) დროულად მისცეს სამუშაო დავალება-
ნი და მოამარავოს მუშავები ხელსაწყოებით
და სხვა სპირო მასალებით;

გ) მიუჩინოს თითოეულ მუშავს გარევეუ-
ლი სამუშაო ადგილი;

დ) უზრუნველყოფს წიგნადი ფონდების,
ინვენტრიისა და მოწყობილობის წესიერი
მდგომარეობა;

ე) განამტკიცოს შრომის დისკიპლინა და
მთლიანად უზრუნველყოფს ერთმანეთვე-
ლობა;

ვ) დანერგოს მუშაობის სოციალისტური

მეთოდები და ჩატაროს ლონისძიებაზე შემო-
მის რაციონალიზაციისათვის;

ზ) დაცულია კანონები და შესახებ დოკუმენტების
დაცვის შესახებ (სამუშაო დოკუმენტების დაცვის
სანიტარიისა და ჰიგიენის, სამე-
დი წყლით მომარავების, პირსაბანის მო-
წყობის, სპეციალისტის მიცემის შესა-
ხებ და ა. შ.).

10. მუშავები ვალდებული არიან:

ა) იმუშაონ პატონსნად და კეთილსინ-
დასიერად;

ბ) დაცუან შრომის დისკიპლინა და მტკი-
ცე შესრულონ შრომითი შინაგანაწესის
წესები; სწრაფად და ზუსტად შესრულონ
აღმინისტრაციის განკარგულებანი;

გ) დროულად მოვიდნენ სამუშაოზე; ზუს-
ტად და ყოველგვარი დარღვევები გარეშე
დაცუან სამუშაო დღის დაწესებული ხან-
გრძლივობა; გამოიყენონ მთელი სამუშაო
დრო მხოლოდ საწარმოო მუშაობისათვის,
მოერიდონ გარეშე საქმეებსა და ლაპარაკს,
ან იარონ აქეთ-იქით უსაქმიდ და ამ მო-
დიდონ სხვა მუშავები;

დ) დროულად და კულმოდგინეთ შეს-
რულონ მიღებული დავალებან; მიაღწიონ
მუშაობის მაღლხარისხისავან მაჩვენებლებს;

ე) გაუფრთხილდნენ სოციალისტურ სა-
კურობას; წიგნად ფონდებს, ინვენტრის,
ხელსაწყოებს, მასალებს და ა. შ.;

ვ) დაცუან სანიტარიისა და ჰიგიენის აგ-
რეთვე ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის წე-
სები და ისარგებლონ მიღებული სპეცია-
ლიტელით.

11. ბიბლიოთეკის გამეცეს ეკისრება სრუ-
ლი პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკის მთელი
მუშაობის სწორად დაყენებისათვის, შრომი-
თი რეემისა და შინაგანაწესის წესების
დაცვისათვის, აგრეთვე ბიბლიოთეკის მთე-
ლი მეურნეობის მდგრმარეობისა და საქმის-
ტრანსფერისათვის.

12. ბიბლიოთეკის ვალდებულია უზრუნ-
ველყოფს წიგნადი ფონდის დაცვა, აწარმოს
წიგნების აღრიცხვა და გაცემა ბიბლიოთეკ-
ისმი, დამარება გაუწიოს მომსვლელებს სა-
კითხვაზე წიგნების შერჩევაში, ასწავლის მათ
ბიბლიოთეკით სარგებლობა.

13. დამლაგებელი ვალდებულია ყოველ-დღიურად დაალაგოს ბიბლიოთეკის შენობა, კვირაში არანაკლებ ორჯერ გარეცხოს იატა-კები, განსაკუთრებით ადეგნოს თვალყური საპირფარეშოს სისუფთავეს; დაიცას მო-მსვლელთა ტანსაცმელი, უზრუნველყოს ბიბლიოთეკის ოთხების მუშაობისათვის მო-მზადება, უზრუნველყოს მომსვლელი სა-სმელი წყლით; შეასრულოს (სამუშაო დროს) შიერიეს მოვალეობა და თვალყური ადეგ-ნოს ქონების დაცვას, თვეის დროშე და ნორმალურად გაათბოს შენობა.

14. ყველა მუშაკი ვალდებულია დაუყოვ-ნებლივ აცნობოს გამგეს ბიბლიოთეკის წიგ-ნების ან სხვა ქონების გაფუჭების ან და-კარგვის შესახებ.

ქონებისადმი უყურადღებო და დაუდევა-რი დამოკიდებულებისათვის დამაშავე პირი პასუხს აეგძს სახელმწიფო ქონების დაცვის შესახებ არსებული კანონის მიხედვით.

IV. სამუშაო დრო და მიხი გამოყენება

15. მუშაობის დაწყებისა და დამთავრები-სათვის დაწესებულია შემდეგი დრო:

მუშაობის და- საწყისი	მუშაობის დამ- თავება
დღისით	საათიდან
საამოთი	საათიდან

შენიშვნა: საერთო გამოსასვლელ დღე-ბში ბიბლიოთეკა მუშაობს დაწესებულ საათებში, ხოლო მუშაკები ისვენებენ საერთო გამოსასვლელი დღის მეორე დღეს.

16. სამუშაო დროის ხანგრძლივობა და-გვენილია რვა საათი შესვენების ჩაუთვლე-ლად. წიგნების გაცემა სწარმოებს შვიდი საათის განმავლობაში.

17. ცვლადი მუშაობისას მუშაკები რიგ-რიგობით ენაცვლებინ ერთი მეორეს. მუ-შაკს არ აქვს უფლება დასტოვოს სამუშაო, სანამ შემცვლელი არ მოუვა. შემცვლელის თავის დროშე გამოიუცხადებლობის შესახებ მუშაკი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნ-ბოს ბიბლიოთეკის გამგეს.

18. აღმინისტრაცია ვალდებულია უზრუნ-

ველპყოს ყველა მუშაკის სამუშაოზე გამო-ცადების ზუსტი რეგისტრაცია.

19. სამუშაო საათებში დაწესებულებული წასვლა მუშაკს შეუძლია სამსახურის უფლება მექანიზმით მი-ზების გამო მხოლოდ აღმინისტრაციის ნე-ბარვით, რაც ფიქსირებულ უნდა იქნას სპეციალურ უზრუნველში.

20. სამუშაო დროს აკრძალულია:

ა) მუშაკების მოცდენა მათი უშუალო სა-მუშაოდან, მათი გამოძახება და სამუშაო-დან მოხსნა საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისათვის;

ბ) ქრებების, სხდომებისა და ყოველგვარი თათბირების მოწვევა საზოგადოებრივი საქ-მეების გამო;

გ) მუშაკებისათვის ხელფასის და აგრეთ-ვე ყოველგვარი ცნობებისა და მოწმობების გაცემა.

21. აკრძალულია სამუშაოზე მოვრალად გამოცხადება.

V. ხელფასის გაცემა

22. ხელფასის გაცემა სწარმოებს ქალაქ ადგილებში თვეში ორჯერ, ხოლო სოფლად-თვეში ერთხელ.

VI. შეებულებები:

23. ბიბლიოთეკის მუშაკებს შეებულება ეძლევათ კანონით დაგენილი ხანგრძლი-ვობით.

შეებულების ცხრილი სდეგბა იდმი-ნისტრაციის მიერ, მტკიცება შემთასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ და წინასწარ ეცნობება მუშაკებს.

VII. წესები ბიბლიოთეკაში მომსვლელ-თათვის

24. ბიბლიოთეკაში მომსვლელები ვალდე-ბული არიან დაიცვან სიწყნარე, ხელი შეუ-წყონ წესრიგისა და სისუფთავის დაცვას, არ დააზიანონ ინვენტრარი და წიგნები, წესიერად და თავაზიანად მოეპრარ ბიბლიოთეკის მუ-შაკებსა და მომსვლელებს.

25. ბიბლიოთეკაში ყოფნა შეიძლება მხო-

ლოდ უპალტოდ და უქუდოთ. ზედა ტან-
საცმელი უნდა გახდილ და დატოვებულ იქ-
ნის სპეციალურად განკუთვნილ ოთახში.

26. სასტიკად აკრძალულია თამბაქოს მო-
წევა, შერობისა და აეჭის დანაგვიანება.

თამბაქოს მოწევა ნებაძართულია მხო-
ლიდ სპეციალურად განკუთვნილ აღვილას.

VIII. სასჯელი

27. შრომის დისციპლინის ყოველგვარი
დარღვევა გამოიწვევს დისციპლინარულ სა-
სჯელს ან სამართალში მიცემას.

28. შრომის დისციპლინის დარღვევისა-
თვის დამნაშავეს დაედება შემდეგი დის-
ციპლინარული სასჯელი:

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- გ) სასტიკი საყვედური;

დ) გადაყვანა სხვა, ნაკლებ ხელფასიან სა-
მუშაონებ სამი თვეს ვაღით, ან ჩამოქვეითე-
ბა დაბალ თანამდებობაზე.

29. მუშაკს, რომელმაც არასაპატიო მიზე-
ზით დააგვიანა სამუშაოზე ან ნააღრევად
წავიდა სასაღილოდ, ან დააგვიანა სადილო-
ბიდან მოსვლა, ან აღრე წავიდა დაწესებუ-
ლებიდან, ან უსაქმირობდა სამუშაო დროს,
დაედება აღმინისტრატიული სასჯელი: შე-
ნიშვნა, ან საყვედური, ან სასტიკი საყვედუ-
რი; გადაყვანა სხვა, ნაკლებ ხელფასიან სა-
მუშაოზე სამი თვეს ვაღით, ან ჩამოქვეითე-
ბა დაბალ თანამდებობაზე.

30. აღმინისტრაცია სასჯელს დაადებს
შრომის დისციპლინის დარღვევის შემჩნე-
ვისთვავე.

სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლი-
ნის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-გან-
მირება.

აღმინისტრაციის მიერ სასჯელის დადება
არ დაიშვება, უკეთ დისციპლინის დარღვე-
ვის გამოვლინების დღიდან განვლო ერთმა
თვეშ.

31. თითოეული სასჯელი გამოცხადდება
ბრძანებით და ეცნობება მუშაკს ხელწერილ
ქვეშ.

32. თუ სასჯელის: შენიშვნის, საყვედური-
სა და სასტიკი საყვედურის დადების დღი-

დან ერთი წლის განშავლობაში მუშაკები არ
დაუშვა შრომის დისციპლინის სამუშაო და-
რღვევა, აღმინისტრაცია მოხსნდებით შეიქ-
დადებულ სასჯელს.

თუ მუშაკმა არ დაუშვა შრომის დისციპ-
ლინის ახალი დარღვევა და თანაც თავი გა-
მოაჩინა, როგორც კარგმა და კეთილსინდი-
სიერმა მუშაკმა, შემინ აღმინისტრაციას
შეუძლია არ დაუცადოს ერთი წლის გა-
ლას და მოხსნას მის მიერ დადებული სას-
ჯელი.

33. ბიბლიოთეკიდან თვითნებურად წასუ-
ლი მუშაკები მიეცემიან სამართალში სსრ
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შე-
საბამისად.

34. არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გა-
ცდებისათვეს მუშაკები მიეცემიან სამარ-
თალში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძა-
ნებულების შესაბამისად.

სამუშაოს გაცდენად ჩაითვლება აგრეთვე
დაგვიანება მუშაობის დაწყებისას ან საღი-
ლობიდან დაბრუნებისას, სამუშაოდან წა-
სულა სამუშაო დღის დამთავრებამდე ან სა-
საღილო შესვენებამდე, უკეთ შრომის
დისციპლინის დარღვევამ გამოიწვია. სამუ-
შაო დროის 20 წუთზე მეტი დაკარგვა.

აღნიშნული დარღვევები, რომლებმაც სა-
მუშაო დროის 20 წუთზე ნაკლები დაკარგვა
გამოიწვიება, მიეთანაბრებიან გაცდენას, თუ
კი მათ აღგილი ქვენდათ სამჯერ ერთი თვეს
განმავლობაში ან ოთხვერ ზედიზედ ორი
თვეს განმავლობაში.

ასევე ჩაითვლებიან მუშაობის გამცდენად
მუშაკები, რომლებიც სამუშაოზე მოვრალე-
ბი აღმოჩნდებიან.

35. დაწესებულებაში მასალების, ინსტრუ-
მენტების და ხელსაწყოების ქურდობისა-
თვის მუშაკები მიეცემიან სამართალში სსრ
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
1940 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებისა
და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბა-
მისად.

36. ଦ୍ୟାନ୍ତିକେସ୍ବରୁଲ୍ଲେବାହି ଶୁଳ୍କଗତିରେ ମିଳିପାଇଲେ ଦେବିକାଙ୍କୁ ମୁଖ୍ୟାଙ୍କୁ ମିଳିପାଇଲେ ଶବ୍ଦାବଳୀରେ ସାଥୀରେ କାହିଁଏକ ପରିମାଣରେ ଉପର୍ଯ୍ୟାମ କରିବାକୁ ପାଇଲୁଛି । କାହିଁଏକ ପରିମାଣରେ ଉପର୍ଯ୍ୟାମ କରିବାକୁ ପାଇଲୁଛି ।

ଲ୍ୟେବିନ୍ ରୂପ କାଳିଶିଳ୍ପୀଙ୍କ ପରିମାଣକୁଣ୍ଡଳୀଙ୍କ ଶ୍ରେଷ୍ଠାଦୀମିଳିବାର,

37. დაცული პლანინა რული სასევტემბერი 2019 წლის 1 აზ ანთავის სუფლებს მუშაქს ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან.

• 333647008 •

ଶ୍ରୀ ବସନ୍ତ ଗାନ୍ଧିଙ୍କାରୀ
ମିଳାଇଗଲୁ ମ. ପ୍ରଦୀପଚାହେ
2/V-41 ଫ. ତବିଲ୍‌ପିଲ୍

63630

I. საერთო დებულებანი

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კაშშირის კონსტიტუციის მე-130 მუხლის შესაბამისად სსრ კაშშირის ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაცვას შრომის დისციპლინა.

საბჭოთა კავშირში შრომის დისკიპლინა
ემყარება შეგნებულ დამკიდებულებას
შრომისაღმი, როგორც ლირსების საქმისაღ-
მი, დილების საქმისაღმი, მათცობისა და
უძირობის საქმისაღმი.

2. შრომითი შინაგანწესის წესების მიზანია უზრუნველყოს შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, მუშაობის სწორი ორგანიზაცია, სამუშაო ღრივის სრული და რაციონალური გამოყენება, შრომის ნაკონფიგურების გადიდება და მაღალხარისხოვანი სამეცნიერო-კლევითი და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა.

III. მუზეუმების მუშაქთა მიღებისა და
ლათხოვნის წესი

3. მუშავის სამუშაოზე მიღებისას მუზეუ-
მების აღმინისტრაცია ვალდებულია შე-
მსვლელს მოსთხოვოს:

ა) წარმოლენის შერომის წიგნაკისა, ხოლო
თუ აღნიშვნული პირი პირველდ იწყებს მუ-
შაობას — წარმოლენის სახლის მმართვე-
ლობის ან სოფლის საბჭოს ცნობისა უკ-
ნაცნელი საქმიანობის შესახებ;

ბ) წარმოდგენა პასპორტისა, პასპორტების
უსახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ ლოკუმენტების წარმოდგენის გარეშე
სამუშაოზე მიღება არ დაიწვება.

4. მუშავის მიერ მუშაობის დაწყებისას
და მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანისას აღ-
მინისტრაცია გალიღებულია:

ა) უამბოს მუშაქს მუზეუმის ამოცანები-
სა და მუშაობის წესის შესახებ;

ბ) გააცნოს მას შეზღუდვის დებულება, შრომითი შინაგანაწესის, სანიტარიისა და ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის წესები.

5. აქრძალულია მუშაკების თვითნებური ჭასვლა მუხეუმებიდან და აგრეთვე თვით-ნებური გადასვლა სხვა დაწესებულებაში.

მუზეუმებიდან წასვლა ან სხვა ღაწევე-
ტულებაში გადასვლა შეიძლება მხოლოდ აღ-
ინისტრუკციის ნიბართვით.

6. მუშავების აღმინისტრაცია ვალდებულია მისცემს მუშავს დათხოვნის დროს მითი შრომის წიგნაკი მასში დათხოვნის შესავავებ ჩანაწერის შეტანით. ამასთან დათხოვნის მიზეზი აღნიშნულ უნდა იქნას შრომის ამონთა კოდექსის ფორმულირების ზუსტებესატყვისად ან ამ კოდექსის მუხლზე მუნიციპალიტეტის მითითების სახით.

7. სამუშაოთან დათხოვნილთა საბოლოო
ნებარიშის გასწორება სწარმოებს მუშავების
უქალატერიაში მის მიერ შრომის წიგნაების
არღვენის შემცენა.

III. მუშაქეუმების ადმინისტრაციისა და
მუშაქების ძირითადი მოვალეობანი

8. მუშეუმის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) სწორად მოაწესრიგოს მუშეუმის მუშაქთა შრომა ისე, რომ თითოეული მაოგანი მუშაობდეს თავისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად და დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

ბ) დროულად მისცეს სამუშაო დავალებანი და მოამარავოს მუშაქები ხელსაწყოებით და მუშაობისათვის საჭირო მასალებით;

გ) მიუჩინოს თათოეულ მუშაქს გარკვეული სიმუშაო დაგილი;

დ) განამტკიცოს შრომის დისკიპლინა და მთლიანად უზრუნველყოს ერთმშართველობა;

ე) დანერგოს მუშაობის სოციალისტური მეთოდები და ჩატარების ლინიძებისანი შრომის რაციონალიზაციისათვის;

ვ) დაიცას კანონები და წესები შრომის დაცვის შესახებ (სამუშაო დროისა და დასკენების, სანიტარიისა და ჰიგიენის, სპეციალობის მიცემის შესახებ და ა. შ.).

9 მუშეუმის მუშაქები ვალდებული არიან:

ა) იმუშაონ პატიონსად და კეთილსინდისერად;

ბ) დაიცან შრომის დისკიპლინა და მტკიცებულ შესარულონ შრომითი შინაგანაწესის წესები; სწრაფად და ზუსტად შესარულონ აღმინისტრაციის განკარგულებანი;

გ) დროულად მოვიდნენ სამუშაოზე; ზუსტად და ყოველგვარი დარღვევის გარეშე დაიცან სამუშაო დღის დაწესებული ხანგრძლივობა; გამოიყენონ მოელი სამუშაო დრო მხოლოდ სამუშეუმო მუშაობისათვის, მოერიონ გარეშე საქმეებსა და ლაპარაკს, არ იარნო აქეთ-იქით უსაქმოდ და არ მოაცინონ სხვა მუშაქები;

დ) იმუშაონ გეგმის მიხედვით, დროულად და გულმოლენით შესარულონ მიღებული დავალებანი; მიაწიონ მუშაობის მაღალხარისხოვან მაჩვენებლებს;

ე) გაუცროთხილდნენ სოციალისტურ საკუთრებას: სამუშეუმო ქონებას, ექსპონა-

ტებს, ინვენტარს, ხელსაწყოებს, მასაზუბნობისა და ა. შ.;

ვ) დაიცან სანიტარიისა და ჰიგიენისა და სანქციის საწინააღმდეგო დაცვის უზრუნველყოფისას მისაღებლონ მიღებული სპეციალის ცელით;

10. მუშეუმის დირექტორს ეკისრება ერთ-პიროვნული სრული პასუხისმგებლობა მუშაქმის მთელი სამეცნიერო-კვლევითი და პოლ ტიური - საგანმანათლებლო მუშაობის სწორად დაყრდნებისათვის და მთელი მეურნეობის მდგომარეობისა და საქმისწარმოებისათვის.

